სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 8 23 0001164808

15/09/2023

სამაგისტრო პროგრამებზე დამატებითი ჩარიცხვის შესახებ

"სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების, სტუ-ს წესდების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წელს სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცხადდეს დამატებითი მიღება დანართ 1-ში მითითებულ ვაკანსიებზე;
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდეს ელექტრონულ პლატფორმაზე - register.gtu.ge, 2023 წლის 18 სექტემბრიდან 20 სექტემბრის 17^{00} საათამდე. (რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია იხ. დანართი 2);
3. ფაკულტეტებზე პასუხისმგებელ პირებს დაევალოთ ჩარიცხვის მსურველთა მიერ ატვირთული ინფორმაციის შემოწმება (პასუხისმგებელი პირები ფაკულტეტების მიხედვით იხ. დანართი 3);
4. სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები სასპეციალიზაციო გამოცდები და სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესაბამისად გამოცდა უცხო ენაში ჩატარდეს 2023 წლის 21 სექტემბერს 10^{00} საათზე სტუ-ის I კორპუსში, საგამოცდო და ელექტრონული სასწავლო რესურსების ცენტრში (კომპიუტერული ცენტრი-2, სართული 1), კოსტავას ქ. N68;

5. გამოცდების შედეგები გამოქვეყნდეს 2023 წლის 22 სექტემბერს;
6. სააპელაციო განაცხადების მიღება მოხდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე 21 სექტემბერიდან 22 სექტემბრის 15^{00} საათამდე. აპელაციების განხილვა მოხდეს 22 სექტემბერს, საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 23 სექტემბერს;
7. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესაბამისად გასაუბრება უცხო ენაში ჩატარდეს 2023 წლის 21 ოქტომბერს 15^{00} საათზე, სტუ-ის ადმინისტრაციულ კორპუსში, კოსტავას ქ. N77, (ცენტრალურ ბიბლიოთეკაში) და უცხო ენაში გასაუბრების შედეგები გამოქვეყნდეს 2023 წლის 22 სექტემბერს;
8. ფაკულტეტების დეკანებმა საერთო სამაგისტრო გამოცდის თითოეული ნაწილისა და სასპეციალიზაციო გამოცდის შედეგების საფუძველზე (საკონკურსო ქულა), მოამზადონ სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების საფაკულტეტო დოკუმენტი და შესაბამისი წარდგინება სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ და უზრუნველყონ ამ დოკუმენტების წარდგენა სასწავლო პროცესების მართვის სამსახურში არაუგვიანეს 2023 წლის 25 სექტემბერის 12^{00} საათამდე. იმავე დღეს მოხდეს მათი განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. მაგისტრანტობის კანდიდატებთან სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებების გაფორმება ფაკულტეტების დეკანებმა უზრუნველყონ 2023 წლის 25 სექტემბრიდან 27 სექტემბრის ჩათვლით და 28 სექტემბერს წარმოადგინონ ჩარიცხვის პროექტები სასწავლო პროცესების მართვის სამსახურში;
10. სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა 2023-2024 სასწავლო წლისთვის სტუ-ის სამაგისტრო პროგრამებზე ჩასარიცხად მოამზადოს რექტორის ერთიანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება) არაუგვიანეს 2023 წლის 1 ოქტომბრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს მისი წარდგენა სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;
11. განცხადებების რეგისტრაცია, არსებული წესის თანახმად, დაევალოს სტუ-ის საქმის წარმოების დეპარტამენტის უფროსს ლ.თარგამაძეს;
12. სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის წარმართვა, დაევალოს სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს თ წერეთელს;
13. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლ. კლიმიაშვილს;
14. ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს საქმის წარმოების დეპარტამენტმა;
15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N64)

ვიცე-რექტორი
კლიმიაშვილი ლევან